

გამოცდის შედეგების ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მოსწავლეს უფლება აქვს სასწავლო ცენტრში წარადგინოს განცხადება საკუთარი ნაშრომის გაცნობის მოთხოვნით და სურვილის შემთხვევაში, ამავე ვადაში დაწეროს საპრეტენზიო განცხადება.

განცხადების მიღება მიმდინარეობს 11, 12 და 13 ივნისს მატერიალური ან/და ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე: [trainingcenter@tcj.gov.ge](mailto:trainingcenter@tcj.gov.ge).

მოსწავლეს უფლება აქვს გამოცდაზე შესრულებულ ნაშრომს გაეცნოს სასწავლო ცენტრის ოფისში მისამართზე: ა. პოლიტკოვსკას ქუჩა N1, თბილისში ან ელექტრონულად (სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე).

საპრეტენზიო განცხადების განხილვისას კომისია იმსჯელებს განცხადებაში მითითებული ამოცანების შესახებ და საპრეტენზიო ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიიღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის ქულის მომატების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

საპრეტენზიო განცხადების განხილვისას დაცული იქნება ნაშრომის კონფიდენციალურობა დაგანიხილება ავტორის გარეშე. საპრეტენზიო კომისია არ განიხილავს განცხადებას მოსწავლის მექანიკური შეცდომის შესახებ.

საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მოსწავლეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება მიეწოდოს ელექტრონული (ელ. ფოსტა) ან მატერიალური სახით.